

კომენტარი მიწის გადასახადის გაუქმებაზე და სოლიდარობის გადასახადის შემოღებაზე*

ოთარი გორგოძე**

1. შესავალი

საქართველოს ახალი მთავრობის პირველი ეკონომიკური ინიციატივა გააუქმოს მიწის გადასახადი მცირე მიწის მფლობელებისათვის და შემოიღოს სოლიდარობის გადასახადი მიზნად ისახავს სოციალური ფონის გაუმჯობესებას და მიმართულია საგადასახადო ცვირთის პროგრესული გადანაწილებისაკენ. რეფორმის შესაძლო გვერდითმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ეფექტებმა ცხარე კამათი გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. ამ სტატიაში მხოლოდ რეფორმის ეკონომიკურ მხარეს გავუსვამ ხაზს.

მთავარი კრიტიკა რომელიც რეფორმის წინააღმდეგ გამოითქვა და ეკონომიკური თვალსაზრისით მინიშნელოვანია მდგომარეობს შემდეგში. მიწის გადასახადის აღნიშნული ფორმით შემოღება გამოიწვევს ფერმერული მეურნეობების გამსხვილებისადმი ხელის შეშლას. სოლიდარობის გადასახადი კი გამოიწვევს გარკვეული საქონლის მოხმარების მკვეთრ შემცირებას. ქვემოთ მე ვაგებ ორ მოდელს რომელიც საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ რამდენად სერიოზულია ეს ეფექტები და შესაძლებელია თუ არა მათი თავიდან აშორება.

2. მიწის გადასახადი

მიწის გადასახადის გაუქმება პაცარა მიწის მფლობელებისათვის სასოფლო სამეურნეო წარმოების ფუნქციის უკუგებას დაღმავლობისაკენ (decreasing returns to scale) უბიძგებს. ეს

* განსაკუთრებული მადლობა **ინაკლი გოგაციშვილს** მხარდაჭერისა და საგულისხმო კომენტარებისთვის.

** CERGE-EI, Charles University in Prague and the Academy of Sciences of the Czech Republic. ელ-

ფოსტა: otar.gorgodze@cerge-ei.cz.

შეიძლება გახდეს ხელშემშლელი მიზეზი საფერმერო მეურნეობის გამსხვილებისათვის. ეს პრობლემა აცილებული იქნება თუ მიწის ფართობი რომელიც გადასახადისაგან თავისუფლდება *საკმარისად* მცირეა. როგორ შეიძლება ამ *საკმარისად* მცირე ფართობის მონახვა ნაჩვენებია ქვემოთ.

იღია არის ის, რომ თუ სოფლის მეურნეობაში ერთი ადამიანი არის დასაქმებული და აქვს მცირე მიწა რომელიც არ იბეგრება, მისი შრომის ანაზღაურება მიწის სიმცირის გამო არ არის იმაზე მეტი ვისი მიწაც იბეგრება, მაგრამ დიდი ნაკვეთი აქვს. მთავარი დაშვება არის ის, რომ მცირე მიწის პატრონი მხოლოდ თავის მიწაზე მუშაობს. თუ ეს დაშვება მცდარია, მაშინ მცირე მიწის მფლობელები არ იმუშავებენ მიწაზე და მიაქირავენ სხვას დასამუშავებლად. მივიღებთ შედეგს სადაც მსხვილი მოიჯარე ფერმები წარმოიქმნება, ან გადასახადის თავის არიდების მიზნით მსხვილი მიწათმფლობელები აფორმებენ მიწას მრავალ მესაკუთრეზე. ამიტომ აუცილებელია აიკრძალოს იმ სასოფლო სამეურნეო ნაკვეთის იჯარით გაცემა, რომელიც არ იბეგრება.

ქვემოთ ნაჩვენებია ფორმალური მოდელი. r -ით ავლნიშნით კაპიტალის უკუგება და w -ით ავლნიშნით შრომის ანაზღაურება ერთ მუშახალზე. ეს სიდიდეები განსაზღვრულია მთლიანი ეკონომიკისათვის და ჩვენ მათ როგორც მუდმივებს ისე გამოვიყენებთ. დაუშვათ სასოფლო სამეურნეო წარმოების ფუნქციაა

$$y = s^\alpha k^\beta l^{1-\alpha-\beta} \tag{1}$$

სადაც s მიწის ფართობია, k კაპიტალია და l შრომაა. $\alpha \in [0;1]$ მიწის წილია შემოსავალში, $\beta \in [0;1]$ – კაპიტალის და $1-\alpha-\beta$ – შრომის.

დავუშვათ მიწის ფართობის ყოველი ერთეული იბეგრება გადასახადით τ თუ $s > \bar{s}$. ჩვენი ამოცანაა ისეთი \bar{s} -ის პოვნა რომელიც გამსხვილებას ხელს არ შეუშლის.

თუ სოფლის მეურნეობის სექტორი კონკურენტულია მსხვილი მიწის მფლობელი ხსნის ამოცანას

$$\max_{s,k,l} s^\alpha k^\beta l^{1-\alpha-\beta} - \tau s - rk - wl \tag{2}$$

მაქსიმიზებიდან მივიღებთ შემდეგ განტოლობებს:

$$\tau s = \alpha y$$

$$rk = \beta y$$

$$wl = (1-\alpha-\beta)y$$

როგორც ვხედავთ გამოშვებული პროდუქცია პროპორციულია მიწის ფართობის, კაპიტალის და შრომის. რამდენჯერაც გაიზრდება მიწის ფართობი იმდენჯერვე გაიზრდება ეს

სიდიდეები. რადგან (1) წარმოების ფუნქციას სკალური ეფექტები არ ახასიათებს, კონკურენტულ გარემოში მიწის მესკუთრეს არ აქვს ინიციატივა გაამსხვილოს ან შეამციროს თავისი მიწა.

მცირე მიწის მფლობელი რომელიც თვითონ მუშაობს მიწაზე ახდენს მოგების მაქსიმიზებას

$$\pi(s) = \max_k s^\alpha k^\beta - rk \quad (3)$$

საიდანაც ვღებულობთ კაპიტალზე მოთხოვნის ფუნქციას

$$k(r) = \left(\frac{\beta s^\alpha}{r} \right)^{\frac{1}{1-\beta}} \quad (4)$$

რასაც თუ ჩავსვამთ (3)-ში მივიღებთ

$$\pi(s) = \frac{1-\beta}{\beta} r \left(\frac{\beta s^\alpha}{r} \right)^{\frac{1}{1-\beta}} = \frac{1-\beta}{\beta} \left(\frac{\beta s^\alpha}{r^\beta} \right)^{\frac{1}{1-\beta}} \quad (5)$$

იმისათვის, რომ დაუბეგრავ მიწაზე მუშაობა მიმზიდველი არ იყოს s ისეთი უნდა იყოს, რომ

$$\pi(s) \leq w \quad (6)$$

ანუ მოგება მიწიდან არ უნდა იყოს იმ ხელფასზე მეტი, რომელსაც მიიღებდა პიროვნება სხვა სამუშაოს შესრულებისას.

მიღებული უტოლობიდან გამომდინარეობს

$$s \leq \bar{s} = \left[\left(\frac{w\beta}{1-\beta} \right)^{1-\beta} \frac{r^\beta}{\beta} \right]^{\frac{1}{\alpha}} \quad (7)$$

მაშასადამე რაც უფრო დიდია შრომის ანაზღაურება და უკუგება კაპიტალზე მთლიან ეკონომიკაში მით უფრო დიდი ნაკვეთი შეიძლება განთავისუფლდეს გადასახადისაგან ისე რომ არ წარმოიქმნას მასშტაბის ეფექტები და პრობლემა არ შეუქმნას მსხვილ ფერმრულ მეურნეობებს.

3. სოლიდარობის გადასახადი

სოლიდარობის გადასახადის მიზანია გამარტივებული პროგრესული საშემოსავლო გადასახადის როლის შესრულება. ის გამართლებულია იმდენად რამდენადაც შემოსავლის დაფარვის პირობებში, რეალური შემოსავლის შესახებ ინფორმაციის მიღება ხდება ადვილად შესამჩნევი საქონლის მოხმარების მიხედვით. ქვემოთ ვაგებ ფორმალურ მოდელს სადაც მოცემული გადასახადის ეფექტებია გაანალიზებული.

დავუშვათ მოხმარებელი ორი სახის საქონელს მოიხმარს. პირველი საქონლის მოხმარება საზოგადოებრივად ხილვადია (publicly observable) და მისი მოხმარების რაოდენობა ავლნიშნოთ

c_1 -ით. მეორე საქონლის მოხმარებარების რაოდენობა c_2 საზოგადოებრივად უხილავია (privately observable, ანუ publicly unobservable). მათი ფასები ალვნიშნოთ შესაბამისად p_1 და p_2 -ით. მომხმარებლის სარგებლიანობის ფუნქციაა ალვნიშნოთ $u(c_1, c_2) = c_1^\alpha c_2^{1-\alpha}$ -ით.¹ w -ით ალვნიშნოთ მომხმარებლის შემოსავალი.

სოლიდარობის გადასახადი განვიხილოთ როგორც ერთჯერადი გადასახადი (lump sum) t . მას იხდის მომხმარებელი, როდესაც საზოგადოებრივად ხილვადი მოხმარება გადააჭარბებს რაღაც \bar{c}_1 ზღურზღს, ანუ $c_1 > \bar{c}_1$.

გადასახადის თავის არიდების მიზნით, მომხმარებელს შეუძლია შეაჩეროს იმ საქონლის მოხმარება, რომლის მიხედვითაც დაბეგვრა ხდება, ანუ $c_1 = \bar{c}_1$ და დარჩენილი შემოსავლით შეიძინოს საზოგადოებრივად უხილავი საქონელი $c_2 = (w - p_1 \bar{c}_1) / p_2$. ამ შემთხვევაში სარგებლიანობის ფუნქცია იქნება:

$$u\left(\bar{c}_1, \frac{w - p_1 \bar{c}_1}{p_2}\right) \quad (8)$$

გადასახადისაგან თავის არიდება არ არის ყოველთვის ოპტიმალური, რადგან საზოგადოებრივად უხილავი საქონელი საზოგადოებრივად ხილვადი საქონლის სრული ჩამნაცვლებელი (perfect substitute) არ არის. მომხმარებელი ცდილობს სარგებლიანობის მაქსიმიზებას და ხსნის შემდეგ ამოცანას:

$$\max \left\{ u\left(\bar{c}_1, \frac{w - p_1 \bar{c}_1}{p_2}\right), u(c_1^o, c_2^o) \right\} \quad (9)$$

სადაც c_1^o და c_2^o ოპტიმალური მოხმარების დონეებია როდესაც გადასახადისაგან თავის არიდება არ ხდება და წარმოადგენენ (10)-(11) ამოცანის ამონახსნებს:

$$u(c_1^o, c_2^o) = \max_{c_1, c_2} u(c_1, c_2) = \max_{c_1, c_2} c_1^\alpha c_2^{1-\alpha} \quad (10)$$

$$p_1 c_1 + p_2 c_2 = w - x \quad (11)$$

სადაც (11) საბიუჯეტო შეზღუდვაა. $x = 0$ თუ $c_1 \leq \bar{c}$ და $x = t$ თუ $c_1 > \bar{c}_1$.

λ -თი ალვნიშნოთ (11) შეზღუდვის შესაბამისი ლანგრანჟის კოეფიციენტი.² ოპტიმალობის პირველი რივის პირობებია:

¹ აქ მოყვანილი ანალიზი მართებული იქნება ნებისმიერი სხვა სარგებლიანობის ფუნქციისათვისაც თუ მას სრული ჩანაცვლების (perfect substitution) თვისება არ ახასიათებს. მაგალითად არ უნდა იყოს ამ ფორმის $u(c_1, c_2) = c_1 + c_2$.

² ეს კოეფიციენტი არის შემოსავლის ჩრდილოვანი ფასი და გვიჩვენებს რამდენით გაიზრდება ოპტიმუმი (სარგებლიანობის მაქსიმალურად მიღწევადი დონე) შემოსავლის ერთი ერთეულით გაზრდისას.

$$\alpha \left(\frac{c_2}{c_1} \right)^{1-\alpha} = p_1 \lambda \quad (12)$$

$$(1-\alpha) \left(\frac{c_1}{c_2} \right)^\alpha = p_2 \lambda \quad (13)$$

საიდანაც მივიღებთ

$$\frac{p_1 c_1}{\alpha} = \frac{p_2 c_2}{1-\alpha} \quad (14)$$

მიღებული შედეგის საბიუჯეტო შეზღუდვაში (11) ჩასმის შედეგად ვღებულობთ ³


$$c_1^o = \alpha \frac{w-x}{p_1} \quad (15)$$

$$c_2^o = (1-\alpha) \frac{w-x}{p_2} \quad (16)$$

გრაფიკულად, (9) ამოცანის ამონახსნი მოცემულია ნახაზ 1-ზე. იგი გვიჩვენებს მომხმარებლის ყოფაქცევას სხვადასხვა შემოსავლის პირობებში. მომხმარებელი თავს არიდებს c_1 საქონლის მოხმარების გაზრდას მხოლოდ შემოსავლის გარკვეულ ინტერვალში.


³ ამ შედეგების მიღება ლაგრანჟის მეთოდის გარეშე შეიძლება. თუკი საბიუჯეტო შეზღუდვიდან ერთ-ერთ მოხმარებას გამოვსახავთ (ვთქვათ $c_2 = \frac{w-x-p_1 c_1}{p_2}$) და ჩავსვამთ მიზნის ფუნქციაში და მიღებულ

ერთცვლადიანი ოპტიმიზების ამოცანას $\max_{c_1} c_1^\alpha \left(\frac{w-x-p_1 c_1}{p_2} \right)^{1-\alpha}$ ამოვხსნით.



ნახაზი 1. მრუდი ხაზები აღნიშნავენ გულგრილობის მრუდებს (indifference curves), სწორი ხაზები საბიუჯეტო შეზღუდვებია. წრეწირით აღნიშნული წერტილები ოპტიმალური მოხმარებაა მოცემული შემოსავლისათვის. წყვეტილი ხაზი გავლებულია მოხმარების იმ ზღურბლზე, რომლის მიღმაც მომხმარებელი გადასახადს იხდის.

შემოსავლის ზემოხსენებული ინცერვული კარგად ჩანს ნახაზ 2-ზე რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება c_1 -ის მოხმარება შემოსავლის ზრდასთან ერთად. როგორც ნახაზიდან ჩანს შემოსავლის გარკვეული დონიდან მომხმარებელი საერთოდ წყვეტს c_1 საქონლის მოხმარების ზრდას. როდესაც შემოსავალი საკმარისად მაღალია, მხოლოდ მაშინ აგრძელებს ამ საქონლის მოხმარების ზრდას და იწყებს სოლიდარობის გადასახადის გადახდას. საინცერესოა, რომ როდესაც მომხმარებელი იწყებს გადასახადის გადახდას, ის მკვეთრად ზრდის c_1 საქონლის მოხმარებას. იმავედროულად, ეს გააიოლებს იმ მოხმარებლის ამოცნობას რომლებმაც გადასახადი უნდა გადაიხადონ.



ნახაზი 2. ენგელის მრუდი (Engel curve). ნახაზი გვიჩვენებს საზოგადოებრივად ხილვადი მოხმარების დამოკიდებულებას შემოსავალზე.

4. დასკვნა

როგორც მიწის გადასახადის აგებული მოდელიდან ჩანს შესაძლებელია მცირე მიწის ნაკვეთის მიწის გადასახადიდან გათავისუფლება ისე რომ ის სოფლის მეურნეობაში გამსხვილებებისადმი ხელშემშლელი ფაქტორი არ გახდეს. ამის აუცილებელი პირობაა დაუბეგრავი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის აკრძალვა. დაუბეგრავი მიწის ზუსტი ფართობის გამოთვლისათვის საჭიროა ვიცოდეთ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების ფუნქცია, რომლის შეფასება ეკონომეტრიკული მეთოდებით არის შესაძლებელი.

სოლიდარობის გადასახადი მოქმედებს როგორც საშემოსავლო გადასახადი გარდა გარკვეული ინტერვალისა სადაც მოხმარებელი თავს არიდებს იმ საქონლის მოხმარებას რომლის მიხედვითაც დაბეგრვის განსაზღვრა ხდება. ამ ინტერვალის გარეთ მოხმარების დამახინჯება არ ხდება. მოცემული გადასახადი გამოიწვევს დასებგერი საქონლის მოხმარებაში მკვდარი ინტერვალის წარმოქმნას ამ საქონლის მოხმარებაში რაც გააიოლებს გადასახადის გადამხდელ მოხმარებელთა გამოცალკავებას იმ მოხმარებლებისაგან რომლებმაც გადასახადი არ უნდა გადაიხადონ.